GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 25 Eylül / სექტემბერი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 716.9	4 763.5	5.1 %	11.6 %	4.8 %

Korona Virüs
კორონა ვირუსი

Son haftada Gürcistan'da kaydedilen korona virüs vakalarının sayısı tekrar rekor rakamlara ulaştı, virüs nedeniyle vefat eden kişilerin sayısı da maalesef arttı. 25 Eylül tarihinde tespit edilen vaka sayısı 265 oldu. 24 ve 23 Eylül tarihlerinde ise tespit edilen vaka sayları 259 ve 227 sayılarına ulaşmıştır. Tespit edilen vaka sayıları ile Acara bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da korona virüs vakalarının sayısı 4 664'ye ulaşmıştır. Vefat edenlerin sayısı – 27, iyileşenlerin sayısı – 1 759, aktif vaka ise – 2 878. Halihazırda hastanelerde 836 otellerde ise 781 kişi tedavi görüyor, 5 584 kişi ise karantinadadır. Son verilere göre ülke çapında 571 486 test yapıldı.

Epidemiyolojik durum nedeniyle Koordinasyon Konseyi Acara bölgesinde bazı kısıtlamaların getirmeye karar verdi. 25 Eylül'den itibaren Acara bölgesinde her tür toplu taşıma yasaklandı. Restoranlar ise sadece saat 22: 00'ye kadar çalışacaklar. Başbakanın, ikinci bir salgın dalgası karşı karşıya devletin hazır olduğu ifade etti, bu nedenle ekonomik süreçlerin askıya alınmasına yol açacak büyük ölçekli kısıtlamaların getirilmesi planlanmıyor.

Son istatistik verilerine göre dünya çapında korona virüs vakalarının sayısı 32 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 32 432 687, vefat eden kişi sayısı – 988 036, iyileşen kişi sayısı – 23 939 959. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Rusya ve Kolombiya'da görülmüştür. Konu ile ilişkin diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

ბოლო კვირის განმავლობაში საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა ისევ რეკორდულ მაჩვენებლებს მიუახლოვდა, სამწუხაროდ გაიზარდა ვირუსით გარდაცვლილი პაციენტების რაოდენობაც. 25 სექტემბრის მონაცემებით საქართველოში კორონა ვირუსი 265 ახალი შემთხვევა დაუდასტურდა, (129 ბათუმი, 34 თბილისი). 24 და 23 სექტემბერს კი 259 და 227 ადამიანით გაიზარდა ინფიცირებულთა რაოდენობა. პროცენტული მონაცემებით ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ აჭარის რეგიონი გამოირჩევა.

საბოლოო სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 4 664 შეადგინა. აქედან გარდაიცვალა 27, გამოჯანმრთელდა 1 759, ხოლო 2 878 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 836 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 781 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 5 584 ადამიანი. ქვეყნის მასშტაბით ჯამურად 571 486 ტესტი გაკეთდა.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე გარკვეული შეზღუდვების დაწესება გადაწყვიტა საკოორდინაციო საბჭომ აჭარის რეგიონში. 25 სექტემბრიდან რეგიონში აიკრძალა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო რესტორნებს 22:00 საათის შემდეგ აეკრძალათ მუშაობა. პრემიერის განცხადებით, პირველ ტალღასთან შედარებით სახელმწიფო მეორე ტალღას უკვე მომზადებული შეხვდა, რის გამოც მასშტაბური შეზღუდვების დაწესება, რაც ეკონომიკური პროცესების შეჩერებას გამოიწვევს, არ იგეგმება.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 32 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 32 432 687 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 988 036, ხოლო გამოჯანმრთელდა 23 939 959 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, რუსეთსა და კოლუმბიას ჰყავს. საკითხთან დაკავშირებული დამატებითი მონაცემები ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.

Ülke ქვეყანა	Toplam Vaka დაავადებული	Can Kaybı გარდაცვლილი	İyileşme გამოჯანმრთელებული	Hasta პაციენტი
ABD / აშშ	7 185 516	207 538	4 437 575	2 540 403
Hindistan/ ინდოეთი	5 818 570	92 317	4 756 164	970 089
Brezilya / ბრაზილია	4 659 909	139 883	4 023 789	496 237
Rusya / რუსეთი	1 128 836	19 948	929 829	179 059
Kolombiya/კოლუმბია	790 823	24 924	674 961	90 938
Peru / პერუ	788 930	31 938	644 345	112 647
Meksika / მექსიკა	715 457	75 439	514 760	125 258
Ispanya / ესპანეთი	704 209	31 118	N/A	N/A
Arjantin/ არგენტინა	678 266	14 766	536 589	126 911
Güney Afrika/სამხრეთ აფრიკა	667 049	16 283	595 916	54 850
Türkiye / თურქეთი	309 790	7 785	271 964	30 041
Gürcistan / საქართველო	4 644	27	1 759	2 878
Total (Dünya) სულ (მსოფლიო)	32 420 147	987 815	23 934 098	7 498 234

Gürcistan'ın Dış Ticareti Ocak – Ağustos 2020 Yılı
საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2020 წ. იანვარი-აგვისტო

2020 yılı Ocak-Ağustos döneminde Gürcistan'ın dış ticaret cirosu 7 022.8 milyon ABD doları teşkil etmiştir ve bu rakam bir önceki yılın aynı verilerine kıyasla %16.7 ile daha azdır. İhracat 2 071.4 milyon ABD dolar (düşüş oranı %14.7), ithalat ise – 4 951.4 milyon ABD doları (düşüş oranı %17.5) olmuştur. 2020 yılı Ocak-Mayıs döneminde negatif ticaret bilançosu 2 880.0 milyon dolara ulaşarak dış ticaret cirosunun % 41.0 teşkil etmiştir.

2020 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 7 022.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16.7% ით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 2 071.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (14.7 % ით ნაკლები), ხოლო იმპორტი 4 951.4 მლნ. აშშ დოლარს (17.5 % ით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2020 წლის იანვარ აგვისტოში, 2 880.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.0 %

İhracat ve İthalat Dinamikleri / ექსპორტის და იმპორტის დინამიკა



2020 yılı Ocak – Ağustos döneminde Gürcistan'ın toplam dış ticaret cirosunda en büyük on ticaret ortağının payı %70.4 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Türkiye (970.4 mln $), Rusya (820.6 mln $) ve Çin (737.5 mln $).

2020 წლის იანვარ-აგვისტოში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 70.4 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (970.4 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (820.6 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (737.5 მლნ. აშშ დოლარი).

2020 yılı Ocak-Ağustos döneminde Gürcistan'ın toplam ihracatında en büyük on ticaret ortağının payı %77.3 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Çin – 296.6 mln $, Azerbaycan – 284.3 mln $, Rusya – 266.0 mln $.

2020 წლის იანვარ-აგვისტოში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 77.3 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: ჩინეთი (296.6 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (284.3 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (266.0 მლნ. აშშ დოლარი).

2020 yılı Ocak-Haziran döneminde Gürcistan'ın toplam ithalatında en büyük on ticaret ortağının payı %69.9 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Türkiye – 840.7 mln $, Rusya – 554.6 mln $, Çin – 440.9 mln $.

2020 წლის იანვარ-აგვისტოში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 69.9 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (840.7 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (554.6 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (440.9 მლნ. აშშ დოლარი).

Lari Değer Kaybetmeye Devam Ediyor
ლარი გაუფასურებას განაგრძობს

Gürcü Lari son dönemde ABD dolara karşı değer kaybetmeye devam ediyor. 1 USD'nin resmi değeri 3.2897 GEL oldu, bloomberg'deki değeri ise 3.3112 GEL dir. Gürcür Lari aynı zamanda Euro karşısında da değer kaybetti ve bir Euro'nun değeri 3.8292 Lari oldu. 24 Eylül'de Gürcistan Milli Bankası 14. döviz müdahalesini gerçekleştirdi ve 40 milyon doları sattı. Müdahaleye rağmen, GEL döviz kuru ABD dolara karşı 1.04 Tetri ile değer kaybetti. Bu süreçlerle ilgili yorum yapan kurumsal ve büyük şirketlerin temsilcileri, Milli Bankanın çabalarını yetersiz olarak değerlendiriyorlar. Bu ay içerisinde USD karşı Gürcü Lari %6.6 oranı ile değer kaybetmiştir.

აქართველოს ეროვნული ვალუტა აშშ დოლართან მიმართებით ბოლო პერიოდის განმავლობაში 2.56 თეთრით გაუფასურდა. 1 აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება 3.2897 ლარი გახდა. ლარი ევროსთან მიმართებითაც გაუფასურდა, რის შედეგადაც ერთი ევროს ღირებულება 3.8292 ლარი გახდა. 24 სექტემბერს ეროვნულმა ბანკმა რიგით მეთოთხმეტე სავალუტო ინტერვენცია განახორციელა და 40 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა. ინტერვენციის მიუხედავად, აშშ დოლართან მიმართებით ლარის გაცვლითი კურსი 1.04 თეთრით გაუფასურდა. აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებენ მსხვილი ბიზნეს ორგანიზაციებისა და კომპანიების წარმომადგენლები, რომელთა განმარტებითაც ეროვნული ბანკის ძალისხმევა არასაკმარისია. ჯამურად, მიმდინარე თვეში ლარი დოლართან მიმართებით 6.6%-ით გაუფასურდა.

AKYIL ZEMIN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC Waikiki · ნატახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

BEKO Müşterilere Yıl Dönüm Kampanyasını Sunuyor

ბეკო მომხმარებლებს საიუბილეო ფასდაკლებას სთავაზობს

“Beko Gürcistan” 23 yaşında! 23. Yıl Dönümü tarihi ile bağlantılı olarak BEKO müşterilere indirim sunuyor.

20 Eylül'den itibaren Beko mağazalarında beyaz eşya alan her müşteri %23'e kadar indirimden yararlanacak. Yıl dönümü kampanyası 30 Eylül'e kadar devam edecek.

BEKO ürünleri satın almak isteyen müşteriler markanın tüm şubelerinde indirimden yararlanabilirler!

Eylül 1997'de Gürcistan pazarına tek mağaza ile giren marka, bugün ülke çapında 68 satış noktasını birleştiriyor.

Gürtiad olarak Beko'nun Gürcistan'daki faaliyetinin 23. yıl dönümünü kutlar, üstün başarılarının devamını dileriz!

ბეკო საქართველო 23 წლის გახდა! სადღესასწაულო თარიღთან დაკავშირებით, შერჩეულ პროდუქციაზე, ბრენდი მომხმარებლებს ფასდაკლებას სთავაზობს.

20 სექტემბრიდან, თითოეული მომხმარებელი, რომელიც ბეკოს მაღაზიაში საოჯახო ტექნიკას შეიძენს, 23%-მდე ფასდაკლებით ისარგებლებს. საიუბილეო აქცია 30 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

ტექნიკის შეძენით დაინტერესებულ მომხმარებელს ფასდაკლებით სარგებლობა ბეკოს ნებისმიერ ფილიალში შეუძლია!

1997 წლის სექტემბერში, საქართველოს ბაზარზე ერთი მაღაზიით შემოსული ბრენდი, დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით 68 სავაჭრო წერტილს აერთიანებს.

გურთიადი ულოცავს ბეკოს 23 წლის იუბილეს, გულითადად უსურვებს მას წინსვლას და წარმატებებს!

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

USD/GEL –3.2897 TRY/GEL – 0.4276 EUR/GEL –3.8292 GBP/GEL – 4.1960

GEL/USD

18 – 25 Eylül 2020

USD/TRY

18 - 25 Eylül 2020

TRY/GEL

18 – 25 Eylül 2020

ALTIN – 60 107.67 kg/usd

18 - 25 Eylül 2020

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası